საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 04-02/52892

„20" დეკემბერი 2011

თქვენს № _____

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქალაქი თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N1

თქვენი მიმდინარე წლის 14 დეკემბრის №2511/01-02-03-08 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თანახმაა ინტერაქტიული დაფის, სამეცნიერო ლიტერატურის შეძენის, ელექტრონული საბიბლიოთეკო კატალოგის შესყიდვის, სახურავების და ლიფტების შეკეთების, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნების და ინტერნეტმომსახურების მრავალწლიანი შესყიდვა განახორციელოთ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი უწყების მიერ 2012 წელს გათვალისწინებული იქნება ამ ღონისძიებების დასაფინანსებლად 371 370 ლარი.

პაპუნა პეტრიაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

№2511/01-02-03-08

14.12.2011

საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილეს

ბატონ პაპუნა პეტრიაშვილს

ბატონო პაპუნა,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს განზრახული აქვს განახორციელოს სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვები. დაფინანსების წყაროები:

- ერთიანი ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით
  - ინტერნეტმომსახურება – 270 ლარი;
  - ინტერაქტიური დაფა – 4950 ლარი;
  - სამეცნიერო ლიტერატურის შეძენა – 2550 ლარი;

  სულ – 7770 ლარი.
- თსუ ეკონომიკური შემოსავლებიდან
  - ელექტრონული საბიბლიოთეკო კატალოგის შესყიდვა – 7500 ლარი;
  - სახურავების შეკეთება – 236000 ლარი;
  - ლიფტების შეკეთება – 85100 ლარი;
  - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნები – 35000 ლარი;

  სულ – 363600 ლარი.

ვინაიდან, მიმდინარე და განსახორციელებელი შესყიდვების პროცედურები დასრულდება მომდევნო საფინანსო წელს, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, გთხოვთ დაგვრთოთ ნება განვახორციელოთ ზემოთ აღნიშნული მრავალწლიანი შესყიდვები.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

დავით ჩომახიძე